თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2024 წლის 02 ოქტომბრის
მორიგი სხდომის
ოქმი № 16

ქ. თერჯოლა 2 ოქტომბერი 2024 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ეკა ბერძენიშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. დავით ცხადაძე , 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. მანუჩარ ფანჩულიძე, 11. ბდრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. რუსუდან კოვზირიძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. გოჩა ვერულაშვილი, 17. დავით გოგბერაშვილი, 18. კახა ბუცხრიკიძე, 19. რამინი რობაქიძე, 20. თამარ ახვლედიანი, 21 ფრიდონ გვენეტაძე, 22. ნატალია ასათიანი, 23. ტარიელ ფანჩულიძე, 24. რონალდი მესხი, 25. თემური ქოჩიაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1.შალვა ჭანკვეტაძე, 2. ივანე ჩუბინიძე, 3.კობა კირკიტაძე, 4.ომარი ჯიხვაშვილი, 5. მერაბი ბასილაძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 25 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე.

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ²⁵სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის Nგ-2924010001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282427479 წერილი, 30.09.2024 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ: 33.15.37.548 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282427531 წერილი, 01.10.2024 წ.).

/მომხს. ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 25, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი - დაემატა 1 ობიექტი, ქონების პრივატიზება განხორციელდება უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით და საწყისი საპრივარტიზებო საფუსარად განისაზღვრა ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული თანხა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -25 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის Nგ-2924010001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29. 29242762, 02.10.2024).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ: 33.15.37.548 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონება (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი ს.კ.33.15.37.548 უსასყიდლოდ გადაეცეს საკუთრებაში სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, შემდგომში სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -25 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ: 33.15.37.548 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.2924276001, 02.10.2024).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 2 ოქტომბრის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი